


იუმორ. აღმანახი




# მშაპის მათრახი

აღმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამოცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типография Т-ва «Шрома» для Алманаха.

აღმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამოცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Типография Т-ва «Шрома» для Алманаха.

9526



კარლო ჩხეიძე და გეგეჭკორი, ღუმაში მივლენ, რომ მოსპონ ჭორი. (იხ. მე-4 გვ.)

ამონაპყენი.

საღამო არის.  
 ცა უღრუბლო მოწმენდილია,  
 მაგრამ არსად ჩანს  
 ღამის მნათი პირბადრი მთვარე,  
 მხოლოდ კაშკაში  
 ვარსკვლავები დაციმციმებენ,  
 საზარი ბნელით  
 მოცულია მთლად არე-მარე.  
 დიდი ქალაქი  
 ელექტრონით განათებული,  
 ისევ მოძრაობს,  
 სავსე არის ხალხით ქუჩები,  
 აქ „განცხრომის ძე“  
 დასვირნობს გულ-მხიარული,  
 იქ მძიმე ტვირთს ქვეშ  
 მწარეთ კენესენ „შრომის შვილები“.  
 ჩუ! დიდ დარბაზში  
 როილმა დაიგრილა...  
 ჩუ! ქოხებიდან  
 გამოისმა გლოვისა ზარი:  
 იქ იმ დარბაზში  
 ნეტარება გამეფებულა  
 აქ ამ ქოხებში—  
 გაქირვება გულ შესაზარი!  
 ჰოი, ცხოვრებავე,  
 უკუღმართო, დაუნდობელო,  
 როდემდის უნდა  
 იმტარვალო ასე, ამგვარათ,  
 ერთი ახარო,  
 ანეტარო, ამხიარულო,  
 ათასი სტანჯო,  
 ცხარე ცრემლი აღინო ღვარათ?!

ვ. რუხაძე.

კითხვა-პასუხები.

კითხვა 1.

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავე, ღირსო მამაო, ეშმაკო!  
 მრევლისა და კრებულისაგან განდევნილი მონა შენი, მოგმართავ შენ გულწრფელი თხოვნით, ყოველთა გულთა მხილარ და გვედრები მამცნო: მრევლისა და კრებულისაგან განდევნილ განრიხსული აგერ ათი წელიწადია დავქრივდი გაუფრთხილებლობის ჩემისა გამო. პირველი ცოლისაგან დამრჩა მხოლოდ 13 შვილი, რომელთაგან თერთმეტი მხვეალია, ხოლო ორი მონა უფლისა. მიუხედავად ამისა ძლიერ დამწუხრებულ არს გული ჩემი განრიხსული მრევლისა და კრებულისაგან. მაქვს თუ არა უფლება, ყოვლად სახიერო, კვალად წარვსდგე წინაშე უფლისა მხვეალითა მარცხენით ჩემისა მდგომარითა და ქორწინებითა ამით განვამხიარულო მრევლისა და კრებულისაგან განრიხსული გული ჩემი.  
 მოძღვარი უგრეხელის წმინდის ანთიმოზის ეკლესიისა და მონა შენი კვიზიკიპრატორი.

პასუხი.

ღირსეულო შვილო ჩემო, ღირსო მამაო კვიზიკიპრატორ!  
 მძიმე არს მდგომარეობა შენი მრევლისა და კრებულისაგან განრიხსულისა, თანაც ქვრივისა და წვრილ-შვილისა. მაგრამ სახიერო შვილო ჩემო მე არა მაქვს საშვალეება დავეხმარო გასაქირსა შენსა. ხოლო მიგასწავლი ვეკილისა „მანდარინისა“ მიმართ, რომელი განაგებს საქმეთა ამის მავგართა.

მარადის შენი ეშმაკი.

კითხვა 2.

თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ ბ-ნო ეშმაკო!

მაქვს პატივი მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა გასაქირსა შესახებ ჩემისა. ძმათა ჩემთა გამრისხეს და უმადურსა მთავრობამაც სამართალში მიმცა თითქო უფლებათა გადაქარბებისათვის.

თქვენო აღმატებულებავ! მე არა მყავს მაღლიერი არც გლეხი, არც აზნაური არცა სამღვდელი და მით უმეტეს არცა მუშათა პროლეტარიატი. ვგრძნობ თავსა ჩემსა უწმინდეს ყოველთა ბოქაულთა, მაგრამ მაქვს აგრეთვე მცირედი მოღვაწეობაცა, რომელსაც დღეს დანაშაულში მითვლიან. გთხოვთ მომისმინოთ აქვენო აღმატებულებავ და წამალი დამდოთ. მყავს დაკარგული არა უმეტეს 360 კაცისა, მოკლული მხოლოდ 18 კაცი; ქრთამი ამიღია სულ უმნიშვნელო,— ორმოცი ათასი ქანქარი; დამიწვავს 70-მდე სახლი; გამიუპატიურებია სულ რაღაც 6 ქალი (ამათში ერთი 80 წლისაც), დამიხრჩვია სამი უკანონო ბავშვი, მომიპარავს 27 ცხენი (ერთი თვით გუბერნატორისათვისაც) გამიკეთებია არა უმეტეს 600 პოდლოგისა, შემიქამია 12000 მ. საზოგადო ფული და სხვ. და სხ. და სხ.  
 აი ამ უბრალო საქმეებში მთავრობამ დანიხა უფლებათა გადაქარბება და მომელის სკამი დამნაშავისა. მუხლ-მოდრეკითა გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ შეხვიდეთ ჩვენს უდანაშაულობაში და დაგვიფაროთ მოსალოდნელი მსჯავრისაგან.

რაგულეთის უჩასტკის ბოქაული გიორგი პირუშვიანი.

პასუხი:

ძვირფასო ბოქაულო, გიორგი პირუშვიანო!  
 მესმის თქვენი გაქვივრებული მდგომარეობა და აგრეთვე სრული თქვენი უდანაშაულობა, მაგრამ მე ბედშავს არ ძალმიძს გამოგიწოდოთ თქვენ ხელი დახმარებისა. მე შემძილია მხოლოდ მიგასწავლო ჩვენს ძვირფას მეგობარსა და განს-

წავლულ ვეკილ გიორგი გვაზავასთან. თუ ღოში არ გიქამიათ ერთათ, სახელის მოზიარენი მაინცა ხართ და უბრალოთ არავის დააჩაგვრინებს თქვენს თავს.

მარადის თქვენი ეშმაკი.



ცისკარს.

იყო ღამე უმთვარო,  
 წყვილადი სამწუხარო,  
 შენ კი, სატრფოვ გულისა,  
 მთის გადღმა თუ ხარო!  
 თითქოს ჩემი ისმინა,  
 ცის ძირს ნაზათ შესცინა  
 და მყის დაბლა წყვილიდმა  
 საზარლად დაიგმინა!  
 შენ, სინათლევ, რის ხარო?  
 მითხარი, თუ მზის ხარო!  
 მე შენ გეტრფი, შენ გეტრფი,  
 მშვენიერო ცისკარო!..  
 თითქოს—„ღიახ, ღიახო!“  
 ცას ფრთა უფრო შეახო.  
 მაშ, ათოთოლ-აქანკალიდ,  
 უკუნეთის წიაღო!  
 ცას კიდევ ატკერცოდა,  
 მთას სპეკალი ეწოდა,  
 და ირგვლივ დილის პირის  
 ჟრიამული ისმოდა!  
 ჰოი, შვების ისარო!  
 სხივო, მართლა მზის ხარო?!  
 მე შენ გეტრფი, შენ გეტრფი,  
 მშვენიერო ცისკარო!..

ნ. ზომლეთელი.

მოხსენება თფილისიდან.

საზოგადოთ ცნობილია, რომ მიძინება შეფერის მას, ვინც ასე თუ ისე კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. მაგრამ არსებული წესი კმაყოფილს ახტუნავენს და უკმაყოფილოს მიძინებს. და აი,— დაგივიცავო ტარტაროზს, სრულგებით არ არიან კმაყოფილი თამაშქოს ფაბრიკის მუშები,—მაგრამ მათ მაინც მიძინეს „ძილითა მართლისათა“. მიძინეს და კავშირმაც მათმა განუტევა სული... განუტევა მშვიდათ, წყნარათ, ყველასაგან უგებრათ... როდის ეღირსებათ ხელახ-

ლი გამოღვიძება აღნიშნულ მუშებს, როდის მიხედვით და ნაკარგის საჭიროებას, ეს ალბათ ხაზინისა და ეშმაკის მათრახის მოქმედებით განისაზღვრება.

\* \*

მანამდე კი აუცილებლად უნდა გაგაცნოთ ის წერილი, რომელიც თფილისის რკინის გზის დეპოდან მივიღე...

ჩვენი დეპოს ტოკრები ისე გატაცებული არიან აკორდით, რომ გარეშე იმისა აღარაფერი ახსოვთ; არ უჯერებენ მუშების არც წინადადებას, არც რჩევას და კვლავ განაგრძობენ ამ სასახლო საქმეს. ამიტომ, გვიშველე რამე, თუ „ეშმაკი“ არა, შენ მაინც აუცილებლათ მოდი, მათრახით თანა და დატრიალდი ყოჩაღათო“.

ღიდის სიამოვნებით!

\* \*

ღიან, დეპოს საქმეს როგორც იქნება მოვაწყობთ, მაგრამ სად ვნახო ნეტავი ის შანტისტი... უკაცრავად, არტისტები, რომლებიც გასულ ხუთშაბათს „რენესანსის“ თეატრში თამაშობენ „მშვენიერ პიესას“, „არსებობისათვის ბრძოლა“-ს, რომლის წარმოდგენის ნებას, მართალია ავტორი არა რთავს (იხ. „ჩვენი ხმა“), მაგრამ ეს დალოცვილები, „რაც უნდა ცუდი ამინდი იქნეს“, მაინც თამაშობენ. სად ვნახო მათი „რეჟისორი“, ბ. კონსტანტინე მკედლიშვილი, განთქმული შანტისტი... უკაცრავად, არტისტი და სხვანი და სხვანი, რომ იმ სიყალბისთვის, რომელსაც ისინი არა თუ ეხლა, არამედ დიდი ხანია, ჩაღიან, ზურგი ზორბათ ავუცხელო?! მაგრამ, არაფერია!

არა არის ბოროტება,  
რომელიცა დაიფაროს,  
არ იქნების დამნაშავე—  
ამ ჩვენ მათრახს დაემალოს...

\* \*

რაკი არტისტებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთს ვიკითხავ: რა ემართება ნეტავი ჩვენი სახალხო სცენის მოყვარეთა დასს, რომ ამ ბოლოს მთლად მიიძინეს? ამ დალოცვილებმა „სადღეგრძელოთი“ დაიწყეს და შესანდობრით ათავებენ!.. არა, ამას ნუ იზამთ, ბატონებო, თორემ... თორემ... თორემ, რა—სირცხვილია!..

მათრახს არ გაკადრებთ ჯერ-ჯერობით, მაგრამ თუ საქმე არ გააუმჯობესეთ, მაშინ ვერც ამის პირობას მოგცემთ...

მაშ, ფრთხილათ! მეტი ცდა და დაკვირვება!!

ეშმაკის მოციქული.

**შენიშვნა.**

(ს. ქვარიაის მგოსნურ მოღვაწეობის უყურადღებობის გამო.)

ექს-ისტორიკოსს, ეშმაკო,  
ცოტა რამ დავიწყებია,  
ქვაროსანზე წერისას  
მგონი მასალა კლებია.

რათ არ ახსენა მგოსანის  
დიდათ ცნობილი „სიმები“,  
ან „ანჟელინა“... ქართველის  
ხალათში ჩანაძინები?..

რათ დაივიწყა „გეზიტი“,  
ფშვიად ნატაშას ლოგინი?  
უტანასკმელო ქალები,  
ან კიდევ ბულბულთ სლოკინი?\*

ეშმაკუნა.

**გარეთ კასელი გლაქები.**

(სცენა ავლაბრის მოედანზე.)

**პირ. გლახი,** გამარჯობა სოსი!

**მომრ. გლახი.** გაგიმარჯოს თედო! კაი ხანია ქალაქში იღვომილები, ერთი კვირაა საფელში ვერა გხედამ.

**პირველი.** ერთი კვირეა ძმო; შენ როდის ჩამოხველ.

**მომრ.** მენა? მე დღეს.

**პირველი.** კაცო! მართლა მოგვივიდენ რაღაც პრტიგმელნიცა ტარშინები?

**მ.** მოვიდენ ძმო და მანგრე?! რაც ნამამასახლის ნაგზორალები იყვენ სულ ერთად შეეგებენ, ცთა ფრენას მოვიდენ- ნასალდაპტრები ხომ პაპ-პაპ, ე ჰე ჰეე!

**მ.** მაშ წამოყვეს ფეხები მევახშე მევახშეებმა არა?

**მ.** ჰაი ჰაი რომ წამოყვეს. ჯერ გართავც არ გამოდიოდა, მაგრამა მივიდენ შე-ჩოხიანი პამ-პულები და მოახსენეს: მშვიდობა იყოს კნიახო შენი აქ მორძანებაო და მუჟა-მუჟა იპპოლნიტელი ლიპტები გადასცეს. იმანაც ვადისო ულვაშებზე ხელი...

**მ.** აკი თავდაბალი კაციაო!

**მ.** თავმდაბალია მა რა! აი ი ლიპტები სულ მან უნდა ჰკრიბოს.

**მ.** საქმეს მოვლა უნდა ძმო, მოვლა!

**მ.** მოვლა კი არა და მეტიც. მაგრამ რაღას მოუვლი... თუ რამე თქვი ვაი შენ, თუ არ თქვი მაშინაც ვაი შენ. ცოტა თუ მიგამგავსეს ერთობის დროისას, კახ, ჭუნ, ბრაახ, ბრუხ...

**პირ.** ხარჯებსაცა ჰკრფამენ?

**მომრ.** კრფამენ მა? კრფამენ კი არა იტაცებენ. ისეთი წივილი-კივილია პატარძლებისა, რომ აღა ხანს მოეწონება.

**პირ.** მე გამოვიპარე იცი? ე ოხერი ერთი ბოკუა ღვინო ჩამოვიტანე: გაყვილი, ხარჯებს მივცემ მთქი; შენც არ მამიყვედ, საცა დაფდი ვნახოთ მან ვინ მიშლის, ხან ვინ. ე ოხრის ტი-ალმა გარადღებმა ხომ სულ ძალა წაიდეს. მოვა ყანყრატოზე წკიპურტს დაიკრამენ ხოლმე. ვითომო და უღვინობით ვიხოცებოთ.

**მომრ.** ოოჰ ეგ სამგლეები!

**პირველი.** ეგ კიდენ რაა ძმო. მივედი იმ ეშმაკ გამწვარალ საეპტო პოლიციაში, ვილაც არღუთინცქიაო და შეფთხოვე: გამაყიდინე ეგ სა-ოხრე ღვინო ან ბაკებში ან მოედანზე მეტი.

კარგით ან ხარებ შემზული ჟრემი გააჩერე; ან ისერიწო, გამოსხნა არ შეიძლებაო. ავდექი და მეც ოთხი უჩაშტკა მოვატარე ამ ერთ ბოჭკა ღვინოს და ჯერაც ნახევარი არ გამიყვიდა.

**მომრ.** კაცო მერზე და გოროდის უბრაველენიაში ვერ მიდი?

**პირ.** ჰაი ჰაი რომ მივედი და ააშენოს ღმერთმა, მითხრეს: წაიდ ძმო ივატრე არხენიათო. ახლა თუ იმ ქერა გოროდოვებს გადაურჩი ხარჯებში პირნათლათ გამოვალ იმ ახალ პრტიგმელნიც ტარშინასთან.

**მომრ.** რაღას გამოხვალ ძმო. რაც რომ იყო შინ ყველაფერი წაიდეს: ქვაბი არ დაუტოვებიათ და ლოგინი.

**პირ.** კიდენ კარგია ცემას გადაკრჩი. მშვიდობით.

(მოდის მესამე გლეხი)

**მესამე.** თედო. თედო! მოიცა ბიჭო!

**პირველი.** რა იყო კაცო?

**მესამე.** შენი ბოჭკა ღვინო რომ გქონდა ბაკებში ოკოლონდნმა და ეურა გოროდოვომ დაგიბეჭდა. გაყიდვაც ავგიკრძალეს, მოწმობაც წაიღეს.

**მომრ.** აი ახლა აშენდა ჩვენი ოჯახი.

ჩაქუჩი.

**მ ი ძ ი ტ ნ ე ბ ი**

ვაი-ვაგლახითა სძლეხს ვინც რომ შეჩვეულია, თორემ ჩვენი ხელობა ღეთისაგან წყველია!

უყურებ რომ ქკვიანათ შემოვიდა მუშტარი, რა მოეკიდა ღვინო, ითანაშა „მუშტარი!“

ის მაგინებს ვისგანაც არაფერი მწყენია!  
მოდი და აიტანე,  
განა მოსათმენია?!

ხელავ, თავზე გადგება,  
ვილაცა დეკადენტი,  
რომ გაიგებ ყოკოლა,  
„გოროცკოი აცნტი,“

ლუკმა მწარდება პირში,  
თავზე მესხმება რეტი,  
ფულტებს რაში თხოულობს?  
უსინდოსობა მეტი?!

ეს „ნალოგი“ და ესეც—  
„სერენდი აქციზისო!“  
ვეტყვი რასმე, იძახის:  
„ჩვენც ვალავა გვიზისო!“

კაცო, თუ ვალავა ქვეყნის საქმეს კისრულობს, რატომ სწორეთ არ ფიქრობს, რატომ არა კითხულობს საიდან შევიტანოთ, ამოდენა ფულტეი? ბარემ მოვიდეს რაღა, ამოგვართოს სულელები!

მოჯამაგირეები...  
დავიმოკლებ ვნასა!  
სათქმელი თუ ბევრია,  
ვერიდები წყენასა!\*)

მ. ლელაშვილი.

\*) ეშმაკის მათრახისა ზურგზედა გარბენასა. ეშმაკი.



მოსალოდნელი სცენა ქართულ თეატრში.

თქვენ, ტაძარი ხელოვნების, სამიკიტნოთ გარდაჰქენით! და გამარცხეთ ჩვენი სცენა შურითა და მწარე ენით.

გურული სცენა.

— რა იყო ნიკოიავ წუხელის წინ ლამით რაცხა სინათლე რომ იყო ოზურგეთისკენ? კირილოვი ხომ არ მოსულა ისთველე თავის ჯარით?

— არა ძმავ კირილოვი კი არ მოსულა, მარა მისმა დატოვებულმა რეკვამ დაასწრო ლამპრობას და ქე გადაანათა მისი საკუთარი ქუხნა ჩვენმა ნიკოკიმ.

— რეიზა ქნა ნეტაი თუ იცი, დასტრახული ქონდა თუ კლექიანი ეწვა შით?

— რა ვიცი რა იყო? თუ გინდა ვიცოდე ქე მეშინია; თქმის ისე აგი კი იყო რომ მორე დღეს ჩამევიდა თვითან ლუბერნატორი—თურმე ნიკოკიმ მოახსენა ჩემი დიდი ოდა დამიწვეს, ქალბაღანაის გამოწვაც უნდოდნო, მემტერეზიანო, მარა ქე ჩუუვარდა ნიკოკის კობზი ნაცარში.—ასე ჩივიან: თვითონ მას აძლევენ პასუდშიო.

— ნეტაი რეიზა ქნა იმ დასტურ დასაწვავ-დასადაგავმა, საკუთარი სახლი რაფერ გემეტა დასაწვავთ?

— დამეთხოვე ჩემი ძამევი ნუ მალაპარაკებ, თვარა თუ რამე მინახეს დასაწვავი მეც არ დამზოგავენ. იმიზა დაწვა თურმე, რომ ამით უნდოდა მისი წამხთარი საქმის გამობრუნება. იფიქრა ოზრუ-

გლებს ექვსი ათას მანათს გადაეკარკლებ, ფულსაც ევილებ და ამით მერჯეველას მოწმობიდან გამოეყრიო.

— რაის მოწმობიდან კაცო რას ჩივი?

— რაის მოწმობიდან და უჩივლეს ძიავ უჩივლეს; ადულდა ძველი ცოდვა, აფოფინდა, ჩვენ რომ კაცი ვყოფილიყავით იგი ვეოც ამდენხანს იბლაყუნებდა, მარა რას იქ, ნიკოკი ერთია, ნიკოკისტეზი, მასავით თავსლაფ დასხმულეზი ათასია—მარა ნუ გეშინია ადრე ატეზილი, ჰირისუფალი ადრე გადიგლოვს. რამდენიც უნდა ექვილაჩონ რედაქციონერებმა აწი ქვეყანას უკან ველარ მუაბრუნებენ, წყალს აღმა ვერ წეიყვანებენ. ჩვენც ქე ვავაქყირეთ თვალი. ახლა აგერ გიმნაზიის გახსნას ვაპირებთ ოზურგეთში, მორე აფთეკაც გვექნება, რაცხა უცხენო დილიეიანია იგიც იარს.

— შაქარი შენ პირს—გენაცვალე ყიაში, მაგას რა ჯობია კაი კლასი თუ გეისნება თელი გურია შეგეწევით, ყველას წავადგება მარა რაცხა მეჩოთირება, სინათლეს ბევრი მტერი ყავს ვინცხა, ვინცხა რავაც შევიტყვე დაძვრებიან და ქადაგებენ არ გაბრიყვდეთ არ გინდებიან გიმნაზია, დელილუბებითო.

— ნუ გეშინია, ჩვენეი ახალი უბრავა ისთე ცდილობს, უსათუოთ კი გააკეთებს რაცხა კას, იგინი რა საშიშია თუ შეიტყო ეშმაკმა იგინს ყველას ეშმაკის მათრახში ჩააკარტიჩკებს და მათრახის ცემით ზურგს უუქრელებს. დიეეთხოვოთ ამ ამაბაეს წამოი კრებაზე დღეს გიმნაზიის გახსნაზე იქნება ლაპარაკი და ერთი დღერი სიტყვაი შენც შეაწიე.

ლევანაი.

ღუმისკენ!

(იხ. სურათი 1-ლ გვერდზე).

კარლო ჩხეიძე და გეგეკორი, პურიშკევიჩის რომ მოსპონ კორი (შესახებ სვავთა ლმობიერების და ყვავ-ყორანთა გონიერების, შესახებ მათი კეთილ-სულობის და წითელ ქურჭით გამოსულობის, თუნდაც შესახებ მცირე ერების მათგან მინაძღვენ ბედნიერების) ღუმისკენ მიმეთ, ტაქკას დატვირთულს მიაგორებენ თითო თითფულს.

მიმივა ტვირთი...მოხრილან წელში! (ბევრნი წაიქცენ ამგვარს უღელში! მაგრამ არ ღრკება იმათი გული ქირში განაწრთობ-გამოჩარხული! მიდიან მედგრულ შეუდრეკელათ, (ვით წინა პარნი ვილოდენ ძველათ) **ჯარა.**

### ქართველი მოღვაწეები.

პატივცემულო მკითხველნო!

დარწმუნებული ვარ, თქვენ სულაც არ შედიხართ ჩვენს მდგომარეობაში და ნაწარმოებთა დღეების დროს ერთობ ცალმხრივად მსჯელობთ. ავიღოთ თუნდა დღევანდელი ტემა ჩვენი საუბრისა ბ-ნი ართმელაძე. ის თითონ უწოდებს თავის თავს „ქია ლუასა“ და „ფუსუნსალას.“ ახლა მოდი თქვენ და გამოიკვლიეთ ჯეროვანათ ცხოვრება-მოღვაწეობა ყოველთა ქია-ლუათა და ფუსუნსალათა. დამიჯერებთ ეს ძნელი საქმეა და თუ არ დამიჯერებთ უმორჩილესად გთხოვთ წაიკითხოთ ის საპრემიო სიბეჭავე ადამიანის გონებისა, რომელსაც „სოფლეო-ხალხთან საუბარი“ ეწოდება და რომელიც ტიპური ნაწარმოებია ტ. ართმელაძის ფუსუნსალური აზროვნებისა. დარწმუნებული ვარ არცერთი გონიერი ადამიანი თავს არ შეიწუხებს იმ ბოღვათა კითხვით, რაცა ართმელაძეს ენაზე მოსდგომია, ხოლო „ცოდნის“ მალაზიას გამოუცია და მე კი ვალდებული-ძულბებული ვარ, როგორც ისტორიკოსი, ვიქვეყნო ამ ქია-ლუათა გონიერების ნაგავში... გეცოდებოდეთ მაინც ჩემო მკითხველბო!

**ბავშობის ხანა.** ტ. ართმელაძე სოფ. ნიგოთის მცხოვრებია. ის დაიბადა მამის ოჯახში არა უგვიანეს მეცხრამეტე საუკუნისა. პირველი სწავლა ოზურგეთის სამოქ. სასწ. მიიღო. ზვიბრ-გადმოცემა ამბობს, რომ ბავშობის დროს ის გაცილებით ნიჭიერი იყო, ვიდრე დღეს არისო და ამ სასიამოვნო გადმოცემით ერთხელ კიდევ საბუღება მეცნიერი დარვინის სვიმონ მკედლიძისაგან მოძულბებული თეორია, შესახებ ადამიანთა მოღვის წარმოშობისა.

**ხალდათობა.** იუნკერთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბ-ნი ტიტე სამხედრო სამსახურში ჩაეწერა. იმყოფებოდა ქ. ხარკამიში „ციხეაუზის“ გამგეთ (ე. ი. ეპარა შინელები). ამხანაგებში იცნობდნენ მას, როგორც ენა ტკილსა და გულ ჩახვეულ ადამიანს, რომელსაც ძლიერ უყვარდა პრტყელ-პრტყელი სიტყვები ლაპარაკის დროს და ვიწრო სორო დასაშალავათ.

1907 წელს ის „აფსტავკაში“ გამოვიდა ავთმყოფობის\*) მიზეზით და საბოლოოდ ჩაესახლა ს. ნიგოთში. აგრეთვე დაენიშნა 25 ქანქარი ჰენსია.

**ტიტე მწერალი.** ლიტერატურულ „ფუსუნსალობას“ ანუ „ქია-ლუობას“ ტიტემ



სოფლის „ფუსუნსალა“ ანუ „ქია-ლუა“ ტიტე ართმელაძე.

აღრვევ მიჰყო ხელი და თავისი უმთავრესი კბილები „დასელებთან“ ბრძოლას შეამტვრია. ტ. ართმელაძე ამგვართ წინამორბედი იყო ცნობილი ხეობელისა, ერგნელისა, კ. თუმანაგის ისევე მებუზლასი და სხვა რეაქციონური ქია-ლუებისა და თუ ეს საზოგადოებამ ჯერაც არ იცის ჩემი მოვლუბაა გავაცნო მათ ეს მხარე ტიტეს მოღვაწეობისა.

**ტიტე რეფორმატორი.** აი რასა სწერს ართმელაძე თავისს უშესანიშნავეს სისულელეში.

„ჩვენისთანა ფუსუნსალებმა განვიზრახეთ წერილმან ჩვეულებათა შემუსრა.“ სახელდობრ: „შემუსრა 1) საკურთხისა 2) საეცლოსი 3) წირვისა და საწინდროს შემოვლების! 4) აღთქმისა! 5) წაბურჯიანი ტირილისა; მილოცვიანი ქორწილისა და სხ.

ამით, როგორც თითონ პუბლიცისტ ფუსანსულა ამბობს, ის სოციალიზმს ამყარებდა და ვინ იცის, იქნებ მართლაც დაემყარებია სოციალიზმი ჩვენს ქია-ლუა „ფედერატიულ-ავტონომისტს“ მაგრამ საუბედუროდ გაუზნდნენ დასელები და ყველაფერი ჩაუშალეს. აი რას მოგვითხრობს თვით ტიტე:

„სწორეთ იმ დროს, როცა სოფლათ ნელ-ნელა გაგვყავდა ის აზრი, რომ ღარიბ-ღატაკი გლეხისაგან ღმერთი არ საკიროებს ძროხა და ცხვარის შეწირვას მეთქი, ჩამობრძანდა ერთი

თფილისის ქუჩაზე სწავლა დამთავრებული მუშა და დიდ-მარხვაში, თავათ წითელ პარასკევს შეაწვევინა გოკი და მიირთვა \*), სოფლეონი, ჭაუხები, აზნაურები და სამღვდლოება ბრახმა მოიცო და მუშის საქციელისაგან გამოწვეული მრისხანება ნაწაყავლ კაცებს დაგვატყდა თავზე“.

აქედან ცხადია: მუშას (დასელს) რომ შემწვარი გოკი არ შეეკამა ქვეყნის საქმე სულ სხვა გვართ წავიდოდა, მაგრამ მუშები განა რასმე დაგიღვევენ? იი მეროე მაგალითი:

„როცა ექვს სოფელში საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო წაბურჯიანი ტირილის სვებედი. ერთ ქალაქში ქირაზედ მყოფ ვეპატარანს ჩაგონებით, ორმა სოფელმა ახალგაზღბებმა უთხრეს მებობელს, რომ ღმერთი თურმე არა ყოფილა... რასაც შედეგათ ის მოჰყვა რომ ეს ორი ყმაწვილი ხალხმა ვერგე წოდებულ „პრიგოვორში“ ჩააგდო და მფორეთ, წაბურჯიანი ტირილის შესახებ ყრილობა აღარ ზესდვა. საქმე ამითაც არ გათავდა: ჩვენს წინანდელ გაპირება-ღაროებებს ხალხმა ახლა ასეთი კული მოაზა: ართ-ძე გვიპირდება: როცა ვინმე მოგიკვდეს ოჯახში, მთაბი ფეხზედ ღოეჭი და ისე გადათირე სასაფლაოზე!.. არც ღმერთი, არც მღვდელი, არც სახარებაო და სხე...“

რაც უნდა ნიჭიერი იყოს ადამიანი თუ ასე შეუშლიან ხელს მუშები, აბა საიდან მოახერხებს სოციალიზმის დამყარებას და ხელის შემლა ერთი და ორი ხომ არ ყოფილა? აი მესამე:

„ქალაქში მხარეულათ მყოფი ვეპატარანი ჩამობრძანდა სოფელში და რომ თავი ყველაზედ უფრო მეოდნეთ გამოეჩინა, უქმე დღეს დაუწყო ბოსტანს თონა. რასაც შედეგათ ერთი ფრიად სახარგებლო მასწავლებლის-სოფლისგან გაძეგება მოჰყვა!.. მიზეზი?—მიზეზი ის იყო, რომ იმან, აღდგომა დღეს, თავისი ხელით გაშენებულ ბოსტანში, სეირნობის დროს, ერთი ძირი ტყის ბაღაბი შეამჩნია უღაგო-აღაგას და თავის ხელით მოსხნარა!..“

ძლიერ შემცდარი იქნება მკითხველი თუ იფიქრებს, თითქო ამით თავდებოდეს ტიტე ფუსუნსალას უმეცარ შემოქმედობა. როგორც ზღვაში ქვიშა და იათელეება ისე ტიტეს ცხოვრებაში ქარაფშუტობანი. მაგრამ უმჯობესია ახლა მის პრაქტიკულ ფუსუნსალობაზე ვილაპარაკოთ.

**„სოფლის მუშათა კავშირი“** სოფლად მობრუნებულმა ტიტემ შეადგინა კავშირი „სოფლის მუშათა“, სადაც მოიწვია ქია-ლუანი სრულიად ნიგოთისა იყიდეს გუთნები, უღლები, კენები და შეუდგენ სოფლის აშენებას, მაგრამ არა თუ ახლის აშენება, ძველიც დაეგრათ. შესქამეს რაც შესაქმელი გააჩნდათ და კავშირიც დაიშალა.

**დასკვნა.** სრულიად დაიშვებული, რომ თქვენ უკვე იცნობთ ბ-ნ ტიტე ართმელაძე, როგორც ტიპურ სოფლის ფუსუნსალას ანუ ქია-ლუას მე ვსდებ კალამს. დღეს ის ბედნიერათ ცხოვრობს ნიგოთში და თავისუფალ დროს თავის საკუთარ ნაწარმოებთა კითხვაში ატარებს.

ისტორიკოსი.

\*) ოპ საზინელებზე! ეშმაკი.

\*) ალბათ ბონებრივის ეშმაკი.

ქესტვილი

სოფელში ვარ, ქალაქურად ვერ ვიზოვნე სტვირი, გულა, მაგრამ როგორც გამეწყობა მოვიინდომებ რა თქმა უნდა.

საყველივროთ მოვიმზადე მეზაზანდრეს რაც კი უნდა და ჩავბერავ ნელა, ნელა თუ ლექსი არ გამიხუნდა

ჩალომ კალომის გავაკეთე მე პატარა სალამური თუმც არ არის ძლიერ კარგი ხმა მაინც აქვს საამური

ნიგოთიელ ფედერალებს ლექსი მინდა უთხრა ძმური, ნათელში გამოვიტანო მათი საქმე „საქებური.“

ჯერ „ბეგლადი“ აზავერი\*) პირველად გვყავს შესაქები, პირადობას ვერადებით ფსევდონიმებს შევვებები.

„გურულია ყანის მუშა“ თუმც არ ვიცით მისი ხნული... „მართლის“ მოქმელსაც ხშირად ირ-ქმევს

თუმცა უყვარს უფრო ტყული.

(ჩიხაოში მსახურებდა იყო დიდად მიღებული და მუწითგან ნაიმასქნი ქვიანშია გაყიდული.)

წიგნაკებიც ბევრი წერა „მეურნე“ და „კრიტიკული“ და ერთი -წრეც“ გააკეთა ფედერალათ წოდებული.

„ყანის მუშათა კავშირი ქვიანში ყავს არსებული შემენილი იარაღით პალეალი აქვს გამსებული

\*) სამხედრო პირს ნიშნავს.

(თუმცა ესლა იმ „კავშირში“ მარტო ძმა ყავს დარჩენილი)

ყანის ბიჭებს წერილს სწერდა. ქუთათურსა „შრომაშია“ მაგრამ იქაც, როგორც სხვაგან კოვზი დარჩა ნაცარშია.

„ნიშადურშიც“ ჩაებარა აგი ტყუილების გულა და მას შემდეგ როგორც ვიცით „საეაქრო გზას“ მოუბრუნდა.


(მაგრამ არა ეშველა რა კავშირი არ გამობრუნდა მერე ნიშადურიშიელში დურმიშხნობას მოუბრუნდა.)

„ცილინდრიან“ შავგრემანს ეს ვინ არის? თედო ალა! ერეწიდან „მოტანილი“ მანაც ბევრი გაასლა.

მო, მაკარიც მოვიხსენოთ მოვსცხოთ, ენა ტანისა ნიგოთიელ ტელეგრაფისტს გაზეთების პარისას, და გუნისას კორესპოდენტს დურმიშხნულის წერიასა (თუ გინდ ამით დაგვემდღროს თავი არტყას კერისას).

ესლა შევსწყვეტ თორემ პაწა დეჩიუტა ჩემი გულა და პატარა სალამურიც მეტი შრომით გაორგულდა.

—ელი.



სასაძმრო სისძმარი

ოპტომბრისტიანი.

(რუსულიდან)

მიიღო „ოპტომბრისტიანი“ მსუბუქი ვახშამი: ერთი პატარა გოჭი, გირვანქა ორგული ხრენითა და მიწვა მისაძინებლათ!..

დაწვა ოპტომბრისტი მაგრამ ძილი არ მოდის... მოაგონდა მას მთელი მისი უაზრო წარსული; გაახსენდა თავისი ჩლუნგი, ათასგვარი წვრილმანებითა და სიცრუეებ-ბავლთმაქცობით აღსავსე ცხოვრება, რომელიც ბავშობიდანვე თან სდევდა და რომელმაც ამ უკანასკნელ გათახსირებამდე, „ოპტომბრისტიანად“ ჩამოაქვეითა მისი არსებობა... გაახსენდა ყოველივე „ესა და კინაღამ დაიცრებლა. მისი მსუბუქი ღილაბი.

მაგრამ საიდანაც იცო სწორეთ ამ დროს გაჩნდა გლეხი... გარუჯული, ხმელ-ხმელი და ტალახიანი. წააგლო ოპტომბრისტს ყურში დაკორძილი ხელები და უთხრა:

— წავიდეთ შე საძაგელო!

და წაათრია შიშისგან გულ შედონებული ოპტომბრისტი.

მოექცა თუ არა სოფელში, უწინარეს ყოველისა ოპტომბრისტიმა გადასწყვიტა გლეხ-კაცთა ნწარე ცხოვრების შემსუბუქება. მსწრაფლ მოაგროვა რამდენიმე ჩაგლეჯილი გლეხი და გამართა მათთან მამაშვილური საუბარი.

— აბა, ყმაწვილებო, აბა მოთხარით პიტნას თესვათ თქვენ? გიცლიათ პიტნის დათესვა?

— პიტნა აბა რა ჩვენი საქმეა ბატონო!

— ო-პ-ო! აი საქმე რაშია! საჭიროა ბნელ ხალხში ცოდნა, კულტურა და სხვა რამეებიც შემოვიდეს, სხვაფერი არ ეშველება. მაშ აი დასთესეთ პიტნა!

ოპტომბრისტიმა ჩაიყო ჯიბეში ხელი, დიდის გაჭვირებით მონახა რამდენიმე პიტნის კამფეტი, რომელსაც სინთორალის შემდეგ მაღის გასაწმენდად პირში იღებდა ხოლმე და გლეხებს გადასცა სათესლეთ.

— აი თქვენ. დასთესეთ, პოეტის თქმისა არ იყოს, კეთილი, გონიერი და საუკუნო პიტნა!

დასთესეს გლეხებმა პიტნის კამფეტები! წელიწადი მოსავლიანი დარჩა და ნორჩი ბუჩქნარები პიტნისა კამფეტის კოლოფებით დაიყურსა.

მაგრამ კეთილი გული ოპტომბრისტიც კვალათ გლეხთა თანაგრძნობით იწოდა.

დაბა-სოფლები.

ფოთი. ვერ წარმომიდგენია, ბ. ეშმაკო, თუ რა ამბები ხთება ამ დასაშვავებელ ფოთში. დღე არ გავა ისე, რომ „ვირების აბანოში“ \*) ათი-ხუთმეტი მაინც არ მიიწვიონ.—რისთვისაო იკითხავ ალბათ. იმიტომ, რომ საჩინოს 2<sup>წ</sup> წლის „იუბილეი“ აღსრულებულა ამ 1909 წ. და ფოთის პატივცემულ საზოგადოებას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ასეთ დიადი მოღვაწის მოღვაწეობისათვის და ახლა კი იძულებული გამხდარა საზოგადოება თვითონ მიპატიჟოს და რიგიანათაც გაუმასპინძლდეს.

არც ჩინოვნიკი ცალხელაქე ჩამორჩება საჩინოს! ამბობენ, „ის საჩინომ გამოზარდა ზ ასრე მშვენიერათაც დაახელოვნაო“. ქალაქში ხშირათ წააწყდებით მაგათადმი მიმართულ ორ სამ სიყვარულის კუბულეტს:

„მემიასქენ“ პოლიციის ხეტილობს დღე და ღამე თუ წაგაწყდა იგი საღმე და ქანქარით არ აამე, მაშინ ვერვინ ვერ გიშველის თუნდა გახლდეს თან ეშმაკი! გვიკვირს, როგორ „გამძლეგმირდა“ ეს ხალ-ცული ეს გლახაკი!-ო.

„Удивительно“ როგორ დაუშინებია ამ კაცს ფოთელები.—თითქმის ეშმაკიც კი ვერას გახდება მათანაო. მე მგონია, ბ. ეშმაკო, რომ, არ მოითმენთ ასეთ შეურაცყოფას და გაუმასპინძლდებით.

საჩინოს კი სულ სხვა ხმით ამკობენ ფოთელები. ალბათ მას მეტი ღვაწლი მიუძღვის:

„ტანათ ალვის-ხე საჩინოს თუმც ვაერია ქალარა,

\*) სახელწოდება პატრონისაგან წარმოსდგება.

— რა ვქნა, რით დავეხმარო კიდევ ამ საცოდავებს?..

დაიბარა და ემუსაიფა.

— გამოგონეთ, ყმაწვილებო! აბა მითხარით მატყლი, გაპნეტრილი მატყლი დაგიტესიათ? გლეხებს მწარეთ ჩაეცინათ.

— მატყლის დათესვა-ს აბა ჩვენ გვასწავლიდა. ოპტომბრისტიმა თავისუფლათ ამოისუნთქა! გამოიბრთა ყურიდან ბამბასავით თეთრი და რბილი მატყლი, გადასცა გლეხს და მედიდურათ უბრძანა:

— აი წაიღეთ, დასთესეთ ეს მატყლი და მაღლობას გეტყვის თქვენ მაღლიერი რუსის ხალხი. მატყლი მოვიდა, მაგრამ რა მატყლი მოვიდა!! მინდვრები ერთიან გადათერდა და რბილი მატყლით შეიბურდა.

შემდეგ ამისა ოპტომბრისტის გულ-უხვობამ უმეტეს გაშალა ფრთები, მთელი სათუთუნე ხელებზე გადმოუფრევა და სათესლეთ გაატანა, არ დაიშურა და ძვირფასი ფოლაქებიც გლეხთა კეთილ-დღეობას შესწირა სათესლეთ, თუმცა ამ მსხვერპლის შემდეგ შარვალს ხელით და იჭერდა. სამაგიეროთ განიხარებდა გული მისი. ოპტომბრისტიც ერთი ქოლგაც ჰქონდა. მეტათ

მაგრამ კვლავ „მეიმასქურათ“  
სტვენს ფოთში მისი ნალარა.

არავის ინდობს ამ ქვეყნათ  
არც მტერს და არცა მოყვარეს  
ვისაცა ღამე შეხედება  
„ვირის აბანოს“ აბარებს!..

არა შედრკება ქალარა,  
კვლავა დატკობს აქ არეს.  
და მისი მოქმედებითა  
მრავალსაც დასამარებს-ო...

ამ უკანასკნელს გთხოვ თვითონ ეშმა-  
კო უქნათ განმარტება, თორემ ერთს რო  
გადაურჩე, მეორეს ბრქალებს მაინც ვე-  
ლარ ავცთები.

წა ფოთიანცი.

**ხონი.** საკვირველო ვაყვები  
ხონის ვაქრუკანებო:  
ყველას უყვარს ღვინო, კარტი,  
კამათელი, ქალებო.

თვატრიც სულს ურჩენიათ,  
თანაც ბიბლიოთეკაო,  
ფულებს ბერივით აყრიან,  
ვინ შეედრებით ნეტაო?  
ამ ბოლოს კულსაც აბზეკენ:  
მოყავთ ავტომობილიო,  
რკინის გზასაც გამოუყვანთ  
ივანიკა ძმობილიო.

„გოროდობასაც“ უშოვის  
თავის სააპეკუნოსო;  
(რასაც ვამბობ მართალია  
ქორები არ გეგონოსო!)

ცხენის წყალზე ხიდსაც გადებს,  
ვინ დაუყვება წინაო?..  
(პროექტების უკეთ მწერი  
ღმერთმაც კი შეარცხვინაო).

(საქალებო გიმნაზის  
აავსებს „უჩიტლებითაო“  
რა ვუყოთ თუ სწავლის საქმე  
წვლს მიდიოდა კლებითო!

მაგიერათ ქანქარს იღებდა  
უკლებლად „ჩვენი მათეო“  
(იქნება არც ხელს აკლებდა  
ივანეს ჯიბე, ფართეო?!!)  
ეშმაკუნა.

**დ. ონი.** (რაქა) აქ ხმა გავრცელდა:  
სათათბიროში პურიშვევის შეკითხვა შე-  
უტანია იმის შესახებ, თუ „ვისაც მეტი  
ლანძღვა-გინება შეუძლია რამდენიმე „სპა-  
სობია“ დაუნიშნოთო“. ონი იმედი აქვთ  
პურიშვევის „სპასობია“ პირველათ ივანე  
ჯანუაშვილს დაენიშნებო!

— ამ მოკლე დროში ხდება საჯარო  
ვაქრობა: ონის კლუბის პატრონი ან.  
ჩალოძე, გაჰყიდის წასული წლის ნათა-  
მაშვე ბანქოს, რომელიც დაახლოვებით  
სამიოდ ურმი გამოვა.

— აკაკის იუბილეს მეორე დღეს ონე-  
ლი ვაქრები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:  
ეს აკაკი ნეტა ვიცოდეთ ატუკატია თუ  
ინჯინერიო.

— ამბათაც არ გავგონილა რაც ონი  
ინტელაგენტი ყოფილან. აკაკის იუბი-  
ლიეზე ონელებმა 40 რფერატი წაიკით-  
ხეს აკაკის პოეზიაზე და 60 სიტყვა წარ-  
მოსთქვეს.

**იქიდანვე.**

სწავლა ცოდნით დარჩენილი  
ისე არვინ იყოს მგონი,  
როგორც არი ჩვენი დაბა—  
ჩაქის ცენტრი, დიდი ონი.

ორ-კლასიან სასწავლებლით  
არის ონი კმაყოფილი,  
უკეთესის დარსება  
მათთვის აოის უცხო ხილი.

ძლივს ძლივობით, დააარსეს  
ონში ერთი სამკითხველო,  
უსადსრობით სულსა დაფავს,  
გაიტანეს ვითაოც ლელო.

— ოჰოო! ეს თითქმის ხუთი ვერსის სიგრძეა  
და თუ თითო გლუხს ორ-ორი დესიატინაც აქვს,  
მაშინ ხომ ათი ვერსი გამოვა და ნუთუ ესეც  
ცოტაა?!

— ოქტომბრისტი განჩისხდა.  
— გრცხვერა ვეთ, ყმაწვილებო, გოცხვერადეთ!  
თქვენ ალბათ მუდამ ლოთობასა და უსაქმობაში  
ატარებთ დროს. გრცხვენილდეთ გრცხვენილდეთ!..  
ლარცხვენილმა გლუხებმა კვლავ მოიკრიბეს  
ძალ ღონე და განუმარტეს ოქტომბრისტს საქმის  
ნამდვილი ვითარება.

— აჰააა! მაშ გვრე ანგარიში არ შეიძლება?  
კარგი.. ძალიან კარგი! მე მოგიფიქრებ...  
და მართლაც მოგიგონა ოქტომბრისტმა გენია-  
ლური პასუხი.

— თექვსმეტ-თექვსმეტი დესიატინა თითოე-  
ულს ხომ გეყოფათ?  
გლუხებმა თვალები დააჭკიტეს.

— თავზე საყრელათ ჩვენო იხედო!  
— ძალიან კარგი! მაშასადამე დღეიდან თქვენ  
უნდა იანგარიშოთ დესიატინაში არა 2400 ოთხ-  
კუთხი საყენი, არამედ მხოლოდ 300. ამგვარათ  
ორი დესიატინის მაგვრათ თექვსმეტი გაგიხ-  
დებათ.

— ალტაცემული გლუხები ოქტომბრისტს მუხ-  
ელზე წოცხვენენ.

ქურნალი და გაზეთები  
სტოლზე ყრია დაუქრელი,  
სჩანს რომ იმათ წასაკითხათ  
ველარავინ ახლო ხელი.

ონში ბლომათ ბრძანდებოან  
ახნაური და ვაქარი,  
არვინ ეძებს ქურნალ-გაზეთს,  
თუ ჯიბეში აქვთ ქანქარი.

მაშინათვე კლუბში წავლენ  
იხიხიან ფრავ, ბაქარა,  
საქმიანი და უსაქმო  
კარტს თამაშობს წარა-მარა.

ზოგჯერ კლუბსაც გვერდს უვლიან  
ჩაჯდებიან ტიკებს შუა,  
მანამდე სმენ ტკბილ ნუნუას  
სანამ დაეღვევთ ქკუა.

ასეთია ონის საქმე,  
ასეთია აქ გართობა!..  
კარტი, ტიკი, გამოთრობა,  
უცნაურო კამათობა.

შხამი.

**სადგური მუხიანი.** „მოკრივეთა“ ჯგუ-  
ფმა მოწოდება გამოუშვა, რომლითაც  
სთხოვენ ყველას დროზე ჯგუფში ჩა-  
წერას, რომ შეერთებული ძალით მოს-  
პონ ვილაც ლაწირაკებისაგან მოგონილი  
კულტურული დაწესებულებანი. ამის თა-  
ობაზე დიდი დებატები იმართება.

**ს ფაცხა-ნაყანევი.** გამოიწერეს ავ-  
ტომობილები, რომელთაც ეპირებიან სა-  
დგურ მუხიანის წაღებას და შუაგულ  
იარაშკაში დადგმას.

**ს. ქვიტირი.** მუხიანის ბოიკოტი გამოუ-  
ცხადეს, რომელიც ძალაში დარჩება სა-  
ნამ იქ იარსებებს რამე კულტურული და-  
წესებულება.

**ს. ოფშქეთი.** ბანკის საარევიზიო კო-  
მისია პანდურის ცემით გამოარეკეს ოთა-

— გნადლობთ ჩვენო მფარვეო, ჩვენო კეთი-  
ლის მყოფელო.

გდასჭრა რა მწვავე საკითხი მიწისა, ოქტომ-  
ბრისტმა თავისუფლად ამოისუნთქა.

თავისი სასახლის ფანჯრიდან ის ხშირათ ხე-  
დავდა სოფელთა ქალებსა და კაცებს, რომელ-  
ნიც სუფთა და გასრფას სამოხელში მორთულ  
მოკახმულნი, ხელი ხელ გაყრილნი სეირნობდნენ  
ძვირფასი ქოლგების ჩრდილოში, მამაკაცები მე-  
დიდურათ ვწოდდნენ ძვირფას სიგარებს, ხოლო  
მანდილოსნები პიტნის კანფეტებით პიზა იტკა-  
რუნებდნ.

ძილის დროს ოქტომბრისტს პირიდან ნერწ-  
ყვის ნაკადული გადმოსდიოდა და საამური ღი-  
მილი სახეს უბრწყინებდა.

— ავთრე შე ქაჩალო ბებრუნა! აღერსია-  
ნათ გააღვიდა ის საყვარელმა ცოლმა.

ოქტომბრისტმა მოიწმინდა ნერწყვი, ადგა,  
ტანთ ჩაიცვა, შეიკრა ყველა ფოლაქები, ჩაილა  
ყურებში რბილი მატყლი, მოუკიდა პაპიროუსს,  
ჩაიყარა ჯიბეში პიტნის კანფეტები, გაშალა სა-  
წვიმარი ქოლგა და გემართა თავიარს სასახ-  
ლისაკენ მესამე დემის კრებაზე დასასწრებლად.

ქმნელებოდა მას ქოლგის განშორება, მაგრამ  
მოვალეობა ხომ პირველი საქმეა.

გამიეტა ქალკაც!  
— გამოიგონეთ, ყმაწვილებო! აი წაიღეთ ქოლ-  
გა დასთვეთ. ჩამოშორდით მაცდურებს უსაქმე-  
რებს, ნუ უჯერით იმათ ლაპარაკს. შრომა, ეს  
ქველმოქმედება! დასთვეთ ქოლგები!

— მიწა აღარა გვაქვს ბატონო, გამოტყდენ  
გლუხები. უკანასკნელ ნაკვეთზე ღოლაქები დავ-  
თესეთ.

ოქტომბრისტმა წარბი შეიკრა.  
— აი, ბუნტიც დაიწყეს!.. მოთხარით თითო  
რამდენი გაქვთ მიწა?

— ორ-ორი დესეტინა ბატონო, მხოლოდ ორ-  
ორი.

მძიმეთ დაუფიქრდა ოქტომბრისტი ამ კითხვას,  
რამეთუ გულითა სურდა გლუხების დახმარება.

— თქვენ ამბობთ ორ-ორი დესეტინა, მაგრამ  
ერთი ამისხენით ეს რამდენი ფუთი მიწა იქნება?  
გლუხებმა, როგორც შეეძლოთ, აუხსნეს, რომ  
მიწას ფუთობით კი არა სიკრკით ზომავენ.

— რას ამბობ კაცო! ერთი შეხედეთ ეგ რა  
მოხერხებული კაცები ყოფილხართ, აი მოგონებაც  
მასა ჰქვია! რამდენი საყენია დესიატინაში?

ხიდან, რადგან ზედა სართულში გამართულ ქეიფში მონაწილეობა არ მიიღეს.

**ს. საყულია.** ორკლასიანი სკოლა ამ მოკლე ხანში გიმნაზიით გადაკეთდება. საქირია „მოკრივე“ პედაგოგები. თხოვნის მისამართი: იარმუკა.

**ს. გეგუთი.** გლეხები გამოაღებთ ყიდულობენ თ. იაშვილის ადგილებს, რადგან ქცევას 20 კაპ. ყიდის.

სალი.

**ოზურგეთი.**

„კამპანიის“ დილიყანით თუ მიდიხართ ნატანებში, ადვილათ ნუ დაენდობით ამ უკანასკნელ ხანებში.

ცალი კედარო ბორბალი რომ გადუცდეს ნაკვალევში, სამი საათი იდგებით მერიის ნაყანევში.

გზები აღარაფერს არ გავს: ყოლგან დანგრეული ხიდე, სადაც აღმართი შეგხდება დაბლა უნდა გადმოხვიდე!..

ბედნიერი უნდა იყო ამ „კარტის“ გადამკიდე: პოეზღმა რომ არ გავასწრას, თავის დროზედ ჩამოხვიდე. თელა-ბულთა.

**წერილი რედაქციის მიხართ.**

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ალმანახში“ ამ საპასუხო წერილს.

ქუთათურ მღ, გაზეთ „შანაურ საქმეების მე № 29-ში ს. ოფშქვიითის მღ. რაქდენ სანებლიძე ცილს მწამებს ვითომ მე ვარ მიზეზი მის და „ეშმაკის მათრახის“ კორექტ. ბ. პუჩუას შორის საქმის გაურჩევლობისა, საქმე აი რაშია. მან პუჩია გაზაფხულზე გამოიწვია სამართალში, რა-ზედაც მაშინვე დაეთანხმა და კიდევ დაგენიშნა მედიატორეებათ მე და მასწავლებელი ფანანოზ ჰეიშვილი. ჩვენ ორჯერ სასოფლო ბანკში და ერთხელ მის სახლში მოვიტხოვეთ მოეყვანა მე-დიატორები, რომ შევდგომოდით საქმეს, მარა ხან ამბობდა რა გეჭკარებათ ჩემი გაბაწვრა, მე-დიატორებს გამოვეცილიო, ნილაბი აიხადოსო და მაშინ მოეყვანო. ასე გავწვალა 5 ოქტომბრამდე. 5 ოქტომბერს პუჩიამ უკანასკნელი ველა ერთი კვირა მიცა (მათრახი № 3.) მარა მაშინაც უარი გვითხრა. დღეს სამი თვის შემდეგ გამომდგარა და მე მიკვირებს „შენი ბრალია, ქუთათისში 21 ოქტომბერს არ მოლო.“ საკვირველია სწორეთ! ვინ დაანიშნებია მას ქუთათისში საქმე, როცა მთელი მრეელი მოწმეთაა დასახელებული და ქუთათის მოუხერხებელია საქმის გარჩევა და მედიატორები, გარდა ერთისა, სოღლელებია. ახლა მე

მგონია, ყველასათვის ცხადია თუ ვინაა დაძნა-შავე საქმის გაჭიანურებაში.

მედიატორე ერისტო ციბაძე.


**II**

ბ. რ. რადგან მღდელი სანებლიძე საქმეს ასე აჭიანურებს და დაძნაშავეთ ჩემი მდიატორები გამოყავს, წინადადება ვადლეე მას, დლიდან გაზეთში გამოცხადებისა, ორი კვირის ვადაში შედგეს სამართალი და განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთებში, სხვათა შორის „შინაურ საქმეებშიც“ პუჩუა.

**იყილვა**

„შრომის“ სტამბაში და აგრეთვე ყველა პროვინციელ აგენტებთან იუმორისტული ჟურნალების კომპლექტი:

- „ეშმაკის მათრახი“ 1907 წ. 13 ნომერი ერთად შეკერილი . . . 1 მ. 30 კ.
  - „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წ. 35 ნომერი, ერთად შეკერილი. . . . . 2 მ. 50 კ.
  - „შურდული“ „ „ 3 „ — — 15 კ.
- გამოწერა პუოვინციებიდანაც შეიძლება და გაეგზავნებათ ვინც წინაწინ გამოგზავნის ღირებულ ფასს.
- ადრესი: Тифлисъ, типографія «Шрома» Теофилю Ерастовичу Болквадзе.
- აგენტებს დაეთმობა 25 პროც., უნდა მოახლოვონ გაზეთების ბიუროს ხელმძღვანელს ბან მ. გაჩეილაძეს.



დილიყანით მოგზაურობა პროვინციებში.

**Первоклассный АНОННА ресторанъ**

зданіе Артистическаго общества.

Ежедневно днемъ отъ 1 1/2 ч. до 5 полов. и веч. отъ 10 ч. до 2 ч. ноци играть

**Румынскій струнный оркестръ**

подъ управленіемъ Синика Мафтен и при участіи по вечерамъ ивъцы-румыни, постодей на русскомъ, ивъцкомъ, итальянскомъ, турецкомъ, греческомъ и румынскомъ языкахъ.

— **ЕЖЕДНЕВНО БЛИНЫ!** —  
— Съ пощеніемъ Я. Бондаренко —